ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 55

20.05.2021
11:00 საათი

მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძის ქუჩა N2
შპს ,,წყალთა სახეობის ცენტრი ტონუსი"

მიმდინარე წლის 20 მაისს 11:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის გასვლითი სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დათო რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა**, ამავე სამსახურის უფროსის მოადგილე **ზაზა ცინაძე,** შპს. ,,წყალთა სახეობის ცენტრი ტონუსი"-ს დირექტორი **თორნიკე ნადირაშვილი** და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

სხდომის დღის წესრიგი:

1. **შპს ,,წყალთა სახეობის ცენტრი ტონუსი"-ს** მიმდინარე სასწავლო და სამუშაო პროცესის გაცნობა, ასევე სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაციის მოსმენა, (**მომხსენებელი - თორნიკე ნადირაშვილი,** შპს. ,,წყალთა სახეობის ცენტრი ტონუსი" -ს დირექტორი);

2. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე"** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი N12-032113350-03; 13.05.2021),* (**მომხსენებელი - გიორგი ჩაკვეტაძე,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე);

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

შპს ,,წყალთა სახეობის ცენტრი ტონუსი"-ს მიმდინარე სასწავლო და სამუშაო პროცესის, ასევე სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია - კომისიას წარუდგინა ქალაქ თბილისის ცენტრის დირექტორმა.

თორნიკე ნადირაშვილი - მოგესალმებით, შპს. ,,წყალთა სახეობის ცენტრი ტონუსი" წლებია ფუნქციონირებს აღნიშნული სახით. დღის განმავლობაში 165-მდე ბენეფიციარს ვიღებთ ყოველ დღე კვირა დღის გარდა. მისი მდებარეობიდან გამომდინარე აუზზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია საბურთალოს რაიონში. აუზის ბენეფიციართა ძირითად ნაწილს წარმოადგენენ 15 წლამდე ახალგაზრდები, რაც ძალიან გვახარებს ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობის მიმართულებით. ყველა მსურველს შეუძლია ცურვის შესწავლა, ,,აქვა აერობიკის" და ფიტნესის დარბაზის გამოყენება. მომსახურე პერსონალი ატარებს შესაბამის სამუშაოებს, რათა სრულად იქნას დაცული პანდემიით გამოწვეული შესაბამისი რეგულაციები.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

ირაკლი გვილავა - შპს. ,,წყალთა სახეობის ცენტრი ტონუსი" მნიშვნელოვანი სპორტული ობიექტია მისი დატვირთვის და ტერიტორიული მდებარეობის გათვალისწინებით. არსებობს გარკვეული გამოწვევები, რაც ძველი ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტებზე მორგებას ითვალისწინებს.

გიორგი ჩაკვეტაძე - მნიშვნელოვანია, რომ საბურთალოს რაიონში ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ისტორიული აუზი დღესაც გამართულად ფუნქციონირებს. მსგავსი ცენტრები ბევრ უბანში უნდა მოეწყოს და სწორედ ამ მიზნით ხორციელდება ის არაერთი პროექტი, რომელზეც მუშაობას მერიასთან ერთად კოორდინირებულად ვაგრძელებთ.

დათო რურუა - აღნიშნულ ინფრასტრუქტურას, სასურველია შეემატოს სპეციალური ბავშვთა საცურაო აუზი, რომელიც კომპლექსის შემოსავალს მნიშვნელოვნად გაზრდის. კარგი იქნება, თუ ამ წინადადებას გავითვალისწინებთ სამომავლოდ, რეაბილიტაციის პროცესში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო შპს. ,,წყალთა სახეობის ცენტრი ტონუსი"-ს მიმდინარე სასწავლო და სამუშაო პროცესის, ასევე სამომავლო გეგმების შესახებ ინფორმაცია".

მოისმინეს:

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო

გეგმის დამტკიცების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ.

გიორგი ჩაკვეტაძე - მინდა წარმოგიდგინოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის მიზანსაც თბილისის ინკლუზიური განვითარება და მის ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვა წარმოადგენს. სამოქმედო გეგმაში კონცეპტუალური ხედვა, პრიორიტეტული სტრატეგიული მიმართულებებია განსაზღვრული, რაც კონკრეტულ, საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში გასატარებელ ღონისძიებებს ითვალისწინებს. აღნიშნული პროექტი მნიშვნელოვანია ყველა ჩვენი თანამოქალაქისთვის გარემოს უკეთესი ადაპტირებისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, საკითხი (მომხრე - გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, ლევან ჯაფარიძე, დათო რურუა, შალვა ოგბაიძე - (6), წინააღმდეგი - (0), თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

გიორგი ჩაკვეტაძე - მოგეხსენებათ, რომ ,,მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა 2021“ ხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივით. მისი საპილოტე ვერსია 2019 წელს ჩატარდა და უდიდესი დადებითი გამოხმაურება მოიპოვა. გარდა იმისა, რომ პროექტი ემსახურება ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას და მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობას, მასში გამოყენებულია ინოვაციური ტექნოლოგიები, პროექტს ემსახურება სპეციალური ელექტრონული პლატფორმა (sfl.ge), რომელიც დაკავშირებულია სოციალურ ქსელებთან, ასევე ითვლის ყველა მონაწილის ინდივიდუალურ სტატისტიკას, სადაც რეიტინგის მიხედვით ხდება საუკეთესო მონაწილეების გამოვლენა და წახალისება საიტზე არსებული ინდივიდუალური პროფილის გამოყენებით. წელს აღნიშნულ პროექტში თბილისის 100-მდე საჯარო სკოლის 1000-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობს, აღნიშნული ტურნირი ივლისის თვეში დასრულდება და საუკეთესო მოთამაშეთაგან შემდგარი ნაკრები აგვისტოს თვეში უკრაინაში გასამართ მინი ფეხბურთის მსოფლიო ახალგაზრდულ („23-მ წლამდელთა“) ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. პროექტს ახორციელებს ა(ა)იპ საქართველოს მინი ფეხბურთის ასოციაცია. ტურნირის მხარდამჭერია ქალაქ თბილისის მერია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და სააფთიაქო ქსელი „ჰსპ''.

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია მიესალმება ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და მასობრივი სპორტის

განვითარების ხელშეწყობას, შესაბამისად, გამოთქვამს მზადყოფნას ,,მინი ფეხბურთის სასკოლო ლიგა " -ს პოპულარიზაციისთვის, პროექტს გაუწიოს შესაბამისი მხარდაჭერა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი ჩაკვეტაძე